ხელშეკრულება საქონლის შესყიდვის შესახებ # 60-7-219-2100

ქ. თბილისი 2019 წ. 01. 10.

I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2019 წლის 01. 10. , ერთის მხრივ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას", (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის (მინდობილობა #181378706) სახით (შემდგომში – ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „MP GROUP"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბროძელის** სახით, შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი (სსე-ს ლოგოთი ბრენდირებული ბლოკნოტები და უსადენო ყურსასმენები) (CPV კოდი 22458000) დანართი №-1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი #2(ტექნიკური პარამეტრები) შესაბამისად.

2.2 დანართი №1 და დანართი #2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 სხვადასხვა ენერგეტიკული კომპანიებისათვის, პირდაპირი მომხმარებლებისათვის, ჟურნალისტებისათვის, სხვადასხვა უცხოური დელეგაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ხშირად სტუმრობენ კომპანიას, ასევე კომპანიის თანამშრომლებისათვის და სსე-ის სახელით გასამართ ღონისძიებებზე საჩუქრად გადასაცემი სსე-ის ლოგოთი ბრენდირებული სუვენირების შესყიდვაზე წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

III. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. მისაწოდებელი საქონლის მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად და შეადგენს **20250(ოცი ათას ორასორმოცდაათი) ლარს დღგ–ს ჩათვლით** (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება").

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.3 საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "მიმწოდებელი" მოვალეა:

4.1.1 საქონლის მოწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 29 ნოემბრისა.

4.1.2. გადასცეს "შემსყიდველს" საქონელი ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი საქონელი, ექსპლუატაციაში არ მყოფი (არ უნდა იყოს აღდგენილი და მეორადი) „შემსყიდველის" ოფისში მისამართზე: თბილისი, ბარათაშვილის ქ #2.

4.2. "შემსყიდველი" მოვალეა:

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება;

4.2.2 შეამოწმოს საქონლის მდგომარეობა ვარგისიანობაზე;

4.2.3. წერილობით შეატყობინოს "მიმწოდებელს" მიღების ან ექსპლუატაციის დროს საქონელზე შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

V. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით საქონლის დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, ხარისხიანი საქონლის სრულად მიწოდების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

5.2 „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, ,,მიმწოდებლი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

5.4 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ,,შემსყიდველისათვის" 5.2 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

VI. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2 "შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სსე–ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ეკა ჯავახიშვილი.

6.3 კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

VII. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა, ფორს-მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

VIII. ურთიერთობა მხარეებს შორის

8.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

8.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

IX. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

9.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

9.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

9.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

9.3 "შემსყიდველს" შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

9.3.1. თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.3.2. "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

9.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ "მიმწოდებლის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც „შემსყიდველის" მხრიდან მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს იწვევს;

9.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4 ამ მუხლის 9.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

9.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

X. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XI. დავათა განხილვა

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

12.1 საქონლის მოწოდებისას "შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მოწოდებული საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიღებული საქონლის მიხედვით ,,შემსყიდველსა" და ,,მიმწოდებელს" შორის.

12.2 საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.

12.3 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრა ადამიანური რესურსებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი მიხეილ ზიბზიბაძე.

XIII. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

XIV. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

14.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

XV. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი":	„მიმწოდებელი":
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	შპს „MP GROUP"
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. 2	თბილისი, აფაქიძის ქუჩა #9
საიდ. კოდი: 204995176	საიდ.კოდი 404982523
ს/ს ,,თი ბი სი ბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE 22	ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის № GE02TB0600000102467636	ანგარიში GE48BG0000000305344500
	მობ: 599 54 80 86
დავით ვარდიაშვილი	გიორგი ბროძელი
მმართველთა საბჭოს წევრი	დირექტორი

დანართი №1
ფასების ცხრილი

№	დასახელება	განზ. ერთ.	რ-ბა	ერთეულის ღირებულება ლარში დღგ–ს ჩათვლით (ლარი)	ჯამური ღირებულება ლარში დღგ–ს ჩათვლით(ლარი)
1	ბრენდირებული ბლოკნოტი	ცალი	350	45	15750
2	ბრენდირებული უსადენო ყურსასმენი	ცალი	100	45	4500
	საერთო ღირებულება ლარში დღგ–ს ჩათვლით(ლარი)				20250

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 20250(ოცი ათას ორასორმოცდაათი) ლარს დღგ–ს ჩათვლით

"შემსყიდველი":

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"

დავით ჭარდახაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი

"მიმწოდებელი":

შპს „MP GROUP"

გიორგი ბროძელი
დირექტორი

დანართი #2
ტექნიკური პარამენტრები

1.სსე-ის ლოგოთი ბრენდირებული ბლოკნოტი-350 ცალი.

ბლოკნოტის გარეკანი:

- სალპას (თერმო დერი) ტყავის გარეკანი შავი ფერის, მარჯვენა ქვედა კუთხეში, კლიშეთი ამობეჭდილი ლოგო;
- ტყავში დამალული მაგნიტური ჩამკეტით;
- გარეკანის უკანა მხარეს დამღით ამოტვიფრული სსე-ის ვებგვერდის მისამართი;
- გარეკანის შიდა მარცხენა მხარეს განთავსებული 5 ჯიბე (პლასტიკური და სავიზიტო ბარათების განსათავსებლად);
- მარჯვენა შიდა მხარეს განთავსებული კალმის ჩასადები;
- გარეკანში მოთავსებული ყოველდღიური ბლოკნოტი რომლის გამოყენებაც, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ცალკე, ყდისგან დამოუკიდებლად.
- ყოველდღიური ბლოკნოტი:
- ზომა 17სმ/24სმ;
- ყდა - რბილი, გარედან ნაკერით;
- ბლოკნოტის ყდა სალპას (თერმო დერი) შავი ფერის ტყავი;
- მარჯვენა ქვედა კუთხეში კლიშეთი ამობეჭდილი სსე-ის ლოგო;
- აკინძვა: თერმო;
- შიდა ფურცლები: დათარიღებული ყოველდღიურად და გაწერილი საათობრივად;
- ქაღალდი: (IVORY) 70 გრ. სპილოსძვლისფერი
- ბეჭდვა 2/2-ზე ; შიდა გვერდებზე - მხოლოდ პირველ გვერდზე სსე-ის ფერადი ლოგო;
- გარშემოფერილობა: ბლოკნოტის შიდა ფურცლების კიდეები წითლად დაფერილი;
- სანიშნე - 2 ცალი, წითელი და შავი ფერის.

2.სსე-ის ლოგოთი ბრენდირებული უსადენო ყურსასმენი-100ცალი

- ბლუთუს ყურსასმენი - მოთავსებული თავისივე სატენ ყუთში;
- სენსორული მართვის ღილაკით;
- ბლუთუს-ვერსია: V5;
- ბლუთუსის სიხშირე: 2.4GHZ;
- ბლუთუსით დაკავშირების მანძილი: არანაკლებ 25 მ;
- მოსმენის დრო - არანაკლებ 2 საათი;
- საუბრის დრო - არანაკლებ 4 საათი;
- ყურსასმენი უნდა დაუკავშირდეს ნებისმიერ მოწყობილობას და მობილურ ტელეფონს, რომელსაც გააჩნია ბლუთუს-ფუნქცია (როგორც iOS ასევე android სისტემებს);
- დაკავშირების შემდგომ, სპეციალური პროგრამის საშუალებით, მობილური ტელეფონის ეკრანზე უნდა გამოჩნდეს ყურსასმენის ვიზუალი, რომელიც აჩვენებს ელემენტის მდგომარეობას;
- ყურსასმენის ჩასადები, სატენი ყუთის ბრენდირება სსე-ის ლოგოთი - 2 ფერში;
- სატენი ყუთი უნდა დაიხუროს მაგნიტური ზონრით;
- კომპლექტში - USB სადენი;

"შემსყიდველი":	**"მიმწოდებელი":**
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	შპს „MP GROUP"
დავით ვარდიაშვილი	გიორგი ბროძელი
მმართველთა საბჭოს წევრი	დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.10.01 11:41:00 +04'00'